

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე – საქართველო და საერთაშორისო გამოცდილება

წამყვანი ორგანიზაცია: გ. ჩუბინაშვილის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

თანამონაწილე ორგანიზაცია:

კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი;

24-25 ივნისი, 2020, თბილისი, საქართველო

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 10 მარტი, 2020

კონფერენციის სამუშაო ენა: ქართული, ინგლისური

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი, თანამონაწილე ორგანიზაციებთან: კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; მხარდამჭერ ორგანიზაციასთან - ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი იწყებს განაცხადების მიღებას საერთაშორისო კონფერენციაში **კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე: საქართველო და საერთაშორისო გამოცდილება** მონაწილეობის მიღების მსურველთათვის.

პროექტი ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის „2019 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის“ ფარგლებში.

საქართველოს ტერიტორიის 20% უკვე რამდენიმე ათწლეულია, რაც ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ოკუპირებულია აფხაზეთის ტერიტორია სრულად და შიდა ქართლის დიდი ნაწილი (ცხინვალის, ახალგორის, ჯავისა და ზნაურის ადმინისტრაციული ერთეულები). 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, შიდა ქართლში განხორციელდა დამატებითი ტერიტორიების ოკუპაცია, პროცესი დღემდე გრძელდება „მცოცავი ოკუპაციის“ სახით.

მთელი ამ დროის განმავლობაში ამ ტერიტორიებზე (აფხაზეთსა და შიდა ქართლში) არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი და უძრავი ძეგლები დანგრევა-განადგურების მუდმივი, რეალური საფრთხის წინაშე დგას. სოციალური ქსელებითა და მედია-საშუალებებით ვრცელდება ინფორმაცია მათი უხეში გადაკეთების და სახეცვლის შესახებ. ადგილზე შექმნილი, მუდმივი კრიზისული ვითარების გამო, ქართული მხარე ვერ ახერხებს ამ კულტურული ძეგლების მონახულებას, მათი მდგომარეობის დაფიქსირებას, საფრთხეების შეფასებას, აღწერას, სათანადო ფოტო-ვიდეო დოკუმენტაციის შექმნას და სამეცნიერო კვლევას, არათუ მათ დაცვას და რაიმე ტიპის აღდგენითი სამუშაოების განხორციელებას.

შექმნილი ურთულესი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნით, ისეთი საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება, სადაც მოხდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის მექანიზმების გაანალიზება საერთაშორისო სამართლებრივ კონტექსტში და მსგავსი ტიპის პრობლემასთან დაკავშირებით, მსოფლიოში უკვე არსებული გამოცდილების გაცნობა-გაზიარება. შესაბამისად მთავარ თემადაც ეს საკითხი განისაზღვრა და სწორედ მას მიენიჭება უპირატესობა კონფერენციის მონაწილეთა შერჩევის დროს.

კონფერენციის მიზანია, ერთად შეკრიბოს ის მეცნიერები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან კონფლიქტის, რისკის ქვეშ მყოფ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული თემებით, ამასთან მზად არიან, საზოგადოებას გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება ამ სფეროში არსებული სირთულეებისა და გამოწვევების შესახებ.

მსგავსი ღონისძიება რეალური წინაპირობაა საზოგადოების მეტი ინფორმირებულობისათვის; იმ უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ, რაც ანალოგიურ რთულ ვითარებაში საერთაშორისო მხარდაჭერის ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი თუ უძრავი ძეგლების დაცვისა და შენარჩუნებისთვის; გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები და განისაზღვროს შესაძლო ქმედებების სქემა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად.

კონფერენციის თემატიკა:

- 1) ოკუპირებულ ტერიტორიებზე, უძრავი და მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი გამოცდილება;
- 2) ოკუპირებულ ტერიტორიებზე, უძრავი და მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხეები;

- J კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიზანმიმართული დაზიანება ისტორიის გაყალბებისა და კულტურული გენოციდის მიზნით;
- J კონფლიქტის ზეგავლენა კულტურულ მემკვიდრეობაზე (რისკები, საფრთხეები, შედეგები, პრევენცია);
- J აფხაზეთსა და შიდა ქართლის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ზოგადისტორიული და კულტურული კონტექსტი.
- J აფხაზეთისა და შიდა ქართლის ზოგადისტორიული კონტექსტი.

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია სააპლიკაციო ფორმის შევსება, შემდეგ ბმულზე:

<http://www.gch-centre.ge/2020/01/26/%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%90%e1%83%a8%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%9d-%e1%83%99%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%a4%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%aa-7/>

განაცხადის შევსება

კონფერენცია ორდღიანია (24-25 ივნისი, 2020). შეირჩევა 20 მომხსენებელი.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია გამოფენები და საჯარო დისკუსიები.

კონფერენციის ფარგლებში მომზადდება ორენოვანი კრებული, სადაც შევა ყველა გამომსვლელის მოხსენება. კრებულის ელექტრონული ვერსია განთავსდება ორგანიზატორი ორგანიზაციების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.

- J კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებსა და დოქტორანტებს.
- J აპლიკაციის გადმოგზავნის ბოლო ვადაა 10 მარტი, 2020.
- J კონფერენციაში მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი შეტყობინება მონაწილეებს გაეგზავნებათ 22 მარტამდე, 2020.
- J ბეჭდური პროდუქციისთვის მასალის მიღების ბოლო ვადაა 1 მაისი. მონაწილეები დამატებით ინფორმაციას ამის შესახებ მიიღებენ მონაწილეობის დადასტურების შემდეგ.

კომისიის წევრები:

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

თამარ ბელაშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრის დირექტორი,

მარიამ გაბაშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,

თამარ ხოსროშვილი – გ. ჩუბინაშვილის ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი,

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ზაალ აბაშიძე – კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი, პროფესორი

თამარ ოთხმეზური – კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კოდიკოლოგიის განყოფილების უფროსი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

თამარ ჭუმბურიძე – კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

გიორგი ჭეიშვილი – ისტორიის დოქტორი, თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

ვახტანგ გოილაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

სალომე ბახია-ოქრუაშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი

მანანა თევზაძე – ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავჯდომარე

დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვმართეთ: conference.gch@gmail.com